

„ქუთაისის უნივერსიტეტი“ აცხადებს ღია კონკურსს სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტზე აკადემიური პერსონალის ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად:

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესის და სამართლის ფაკულტეტზე ვაკანტური პოზიციები:

ეკონომიკის მიმართულებით;

1 პროფესორი;

1 ასოცირებული პროფესორი;

კერძო სამართლის მიმართულებით;

2 პროფესორი;

სისხლის სამართლის მიმართულებით;

2 ასოცირებული პროფესორი;

კონსტიტუციური სამართლის მიმართულებით;

2 ასისტენტი.

საკონკურსო (საკვალიფიკაციო) მოთხოვნები სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისთვის:

პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად (აკადემიური ნიშნით):

- დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი (შესაბამის დარგში/სფეროში);
- სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება;
- შესაბამისი სასწავლო კურსების თემატიკის მიმართულებით გამოქვეყნებული

(ბოლო 5 წლის განმავლობაში) სამეცნიერო პუბლიკაციები ან თანაავტორობა;

- შესაბამისი სასწავლო კურსის (სილაბუსის) შემუშავების გამოცდილება.

ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად (აკადემიური ნიშნით):

- დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი (შესაბამის დარგში/სფეროში);
- სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;
- სასწავლო კურსების თემატიკის მიმართულებით გამოქვეყნებული (ბოლო 5 წლის განმავლობაში) სამეცნიერო პუბლიკაციები ან თანაავტორობა;
- შესაბამისი სასწავლო კურსის (სილაბუსის) შემუშავების გამოცდილება.

ასისტენტის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად (აკადემიური ნიშნით):

- დოქტორი ან დოქტორანტი, რომელსაც აქვს შესაბამისი სასწავლო კურსის (სილაბუსის) შემუშავების გამოცდილება.

საკონკურსო დოკუმენტაცია:

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა კომისიას უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) განაცხადი კონკურსში მონაწილეობის მისაღებად შესაბამისი დარგისა და აკადემიური თანამდებობის მითითებით (განაცხადის წარდგენა ხდება ელექტრონულად ან/და ადგილზე, ადამიანური რესურსებისა მართვისა და საქმისწარმოების სამსახურში. განაცხადთან დაკავშირებულ კითხვებზე მიმართეთ: info@unik.edu.ge / hr@unik.edu.ge);

შენიშვნა: განაცხადი ივსება მხოლოდ ერთი მიმართულებით და ერთ კონკრეტულ პოზიციაზე.

ბ) ავტობიოგრაფია (CV) ქართულ და ინგლისურ ენაზე ქუთაისის უნივერსიტეტის ფორმატში (ელექტრონული ფორმით დოკუმენტაციის გაგზავნის დროს);

გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის, კვალიფიკაციის დამადასტურებელი საგანმანათლებლო დოკუმენტის/დოკუმენტების, პედაგოგიური გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლები/ცნობები, სამეცნიერო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები/დოკუმენტის ასლები;

შენიშვნა: იმ შემთხვევაში თუ პირი სწავლობს უცხოეთში ან უმაღლესი განათლება აქვს მიღებული უცხოეთში ვალდებულია წარმოადგინოს უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი.

დ) საკონკურსო თანამდებობის/დარგის ადეკვატური სამეცნიერო ნაშრომები, ან მათი ასლები (გამოქვეყნებული ბოლო 5 წლის განმავლობაში);

ე) სხვა დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში);

ვ) შესაბამისი სილაბუსები (ელექტრონული ვერსია);

ზ) „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ“ შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული ცნობა“.

კონკურსი ჩატარდება „ქუთაისის უნივერსიტეტის პერსონალის შერჩევის წესის“ შესაბამისად და მოიცავს ორ ეტაპს:

1. კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საბუთების გადარჩევა-შეფასება.
2. საჩვენებელი ლექციის ჩატარება.

კონკურსის ვადები

აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველთა საბუთების მიღება იწარმოებს 2023 წლის 3 თებერვლიდან 9 თებერვლის ჩათვლით ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურში ელექტრონულად ან/და ადგილზე;

კონკურსის პირველი ეტაპი ჩატარდება არაუგვიანეს 2023 წლის 13 თებერვლისა;

კონკურსის მეორე ეტაპი ჩატარდება არაუგვიანეს 2023 წლის 17 თებერვლისა;

კონკურსის შედეგები გამოცხადდება არაუგვიანეს 2023 წლის 21 თებერვლისა;

კონკურსანტის მიერ სააპელაციო განაცხადის წარმოდგენის ვადა 2023 წლის 21 თებერვლიდან 23 თებერვლის ჩათვლით;

საკონტაქტო ინფორმაცია კონკურსანტებისათვის

კონკურსანტთა განაცხადების მიღებას, რეგისტრაციას, ასევე კონკურსანტთა კონსულტირებას უზრუნველყოფს ქუთაისის უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახური.

საკონტაქტო ინფორმაცია:

ქუთაისის, წერეთლის N13

hr@unik.edu.ge

ტელ: +995 (431) 23 79 79